



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 375

“ 19 ” აგვისტო 2025 წ

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში, ბაღდადის ქუჩა №12-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.12.026.002) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის №204 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 13 აგვისტოს №25.1364.1546 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას „ქ. თბილისში, ბაღდადის ქუჩა №12-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.12.026.002) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის №204 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №01252172822-67 განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ზურაბ აბაშიძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 25.1364.1546
13 / აგვისტო / 2025 წ.

„ქ. თბილისში, ბაღდადის ქუჩა N12-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.12.026.002) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N204 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 5 აგვისტოს N01252172822-67 განცხადებით მიმართა მამუკა მახარაძემ (პ/ნ 61010001635) და მოითხოვა „ქ. თბილისში, ბაღდადის ქუჩა N12-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.12.026.002) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N204 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ბაღდადის ქუჩა N12-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა N12-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.12.026.002; N01.17.12.043.022). საპროექტო ტერიტორიის ფართობი შეადგენს 8 486 კვ.მ-ს.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

საპროექტო ტერიტორიაზე „ქ. თბილისში, ბაღდადის ქუჩა N12-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.12.026.002) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N204 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

N01252172822-67 განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მიხედვით, განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება ითვალისწინებს საპროექტო ტერიტორიის ფართობის გაზრდას 86 კვ.მ-ით, კერძოდ, ერთიანდება მიწის ნაკვეთები საკადასტრო კოდებით: N01.17.12.043.022; №01.17.12.026.002, საერთო ფართობით - 8 486 კვ.მ. შესაბამისად, გაიზარდა ქალაქმშენებლობითი კოეფიციენტების საანგარიშო ფართობები.

კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი პარამეტრები: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)- ფართობი: 8 486 კვ.მ.

კ-1 - 0,3 (2545.80 კვ.მ.);

კ-2 - 4,6 (39035.60 კვ.მ.);

კ-3 - 0,3 (2545.80 კვ.მ.);

შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე და სართულიანობა: 22 მიწისზედა სართული, 76,05 მეტრი.

ფუნქციური გადანაწილება: 90% - სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი, კომერციული- 5%, სასტუმრო - 5%.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-

39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-16¹ მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმისა და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-სა (სსზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტებისთვის მაკომპენსირებელ ღონისძიებად განსაზღვრულია საპროექტო არეალში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადახდა, რომელიც დგინდება საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვრება აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი



საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით, რაც დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად დადგენილი იყო - 1004.64 კვ.მ, ხოლო აღნიშნულ შემთხვევაში კორექტირების შედეგად შეადგენს 1014.92 კვ.მ-ს.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39

დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუანაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ლამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ცვლილების ინტენსივობიდან გამომდინარე გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა არ განხორციელებულა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 11 აგვისტოს N01252232517 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

შემოაღნიშნულის შესაბამისად, „ქ. თბილისში, ბაღდადის ქუჩა N12-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.12.026.002) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N204 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01252172822-67 განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას „ქ. თბილისში, ბაღდადის ქუჩა N12-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.12.026.002) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N204 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდა, რომელიც განისაზღვრება საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

3. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით.

4. გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხვა განხორციელდეს მშენებლობის ნებართვის მიღებამდე.

5. შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობა-ნაგებობაში არსებული საზოგადოებრივი ფუნქციის ცვლილება მისი შემცირების მიზნით დაუშვებელია. შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრის ამონაწერში

დაფიქსირდეს ვალდებულება: შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობა-ნაგებობაში არსებული საზოგადოებრივი ფართის დანიშნულების უცვლელად შენარჩუნების პირობით.

6. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

7. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) გიორგი ტყემალაძეს.

8. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01252232517
თარიღი: 11/08/2025

2025 წლის 5 აგვისტოს N 01252172822-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ბაღდადის ქუჩა N 12-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.17.12.026.002; 01.17.12.043.022) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი პროექტის ცვლილება და სატრანსპორტო დოკუმენტაცია. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2022 წლის 19 ოქტომბრის N 01222921686-67 განცხადების პასუხად N 0122298830 წერილით. დადებითი პოზიცია დაფიქსირებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე. ასევე დადებითი პოზიცია დაფიქსირებულია არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით და იქიდან გამომდინარე, რომ დაგეგმილი პროექტი არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, რაც არსებით უარყოფით ზეგავლენას მოახდენს არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.


წარმოდგენილია შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, შესაბამის თანხმობის წერილებთან ერთად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი



ბანაშანიანების
რაგულირების გზების
ცვლილების
პროექტი



ԿԱՌԱՅԱՐԱՆԻ ՊԱՐԺԱՆԳԱՆՈՒԹՅԱՆ ԴԻՐԱՐԱՆ

ქალაქი თბილისი,
რიცხვად ჰოლგრაუზის ქაზა №12;
ბაღდადის ქაზა №12-ის
მიმღებარად

დამკვეთი

მზს "ერთი დავალოვნად"

ტელეფონური ნომერი: 406338100

თბილისი, წ. კობახიძის ქ. №12

პროცესი დასრულდა

სახლი
მრავალბინიანი საცხოვრებელი

25(06)2024	90000000	1 600
25(06)2024	90000000	1 600

პირსონის კოეფიციენტი

CASE REPORT

[illegible]

62790(1) 2008(1) 2008(1) 2008(1)

--

შპს რუხი

“၅၁၇၁၆၄” ဂဠ

საიდენტიფიკაციო კოდი: 445631139

ბათუმი, ზ. გოჩიაშვილის ქ. №44


ტელ: 593 668 093

საქართველო	სახალხო	ხალხური
------------	---------	---------

[illegible]

მ. ა. ჯაფარიძე	მ. ა. ჯაფარიძე	მ. ა. ჯაფარიძე
----------------	----------------	----------------

התאריך	2024.07.26
--------	------------



[illegible][illegible]

ნაკვეთი	01.17.12.026.002 01.17.12.043.022
ნაკვეთის ფართობი (მ²)	8486.00
ქონარეგულ ფენქიური ზონა	საზოგადოებრივ-სამკიხი ზონა-2
სამგზავლო სტატუსი	სამგზავლო
სივრცით-გამგზავითი ფორმის სტრუქტურა	ლი
რამდენიმე მკიხის განთავსების რამიი	დასაგზავი
ფენქიური მკიხეულის კონფიგურაციის ნილი	90% სტატუსი, მკიხის სტატუსი 5% კონფიგურაციის 5% სტატუსი
ჯ-1=0.3	
ჯ-1 საანგარიშო ფართობი (მ²)	2545.80
ჯ-2=4.6	
ჯ-2 საანგარიშო ფართობი (მ²)	39035.60
ჯ-3=0.3	
ჯ-3 საანგარიშო ფართობი (მ²)	2545.80

[illegible]

განაგებების
რეგულირების გზის
ცვლილების
პროექტი



კალაქი თბილისი,
როიერდ ჰოლბერგის ქაზა №12;
ბაღდადის ქაზა №12-ის
მიმდებარედ

ლაშავეთი
მპს "ელთი ღაველოვანები"
საოლენიეფაშიკო კოდი: 406338100
ქ. თხილეთი, რ. კოვლენკის ქ. №12

მხსენი
გარდაღებიანი საკონკრეტო

07264(01)	25/05/2024	03080301	1 500
01794000	A2	03761020	


[illegible]

შპს "ნეოს" ბილ: 593 668 093

საქონლადიგებაში ჯიდი: 445631139

ქ. ბათუმი, ზ. გიორგიშვიტს ქ. N44

საქართველოს საგარეო საგადასაზღვრო სამსახური	საგარეო საგადასაზღვრო სამსახური	საგარეო საგადასაზღვრო სამსახური	საგარეო საგადასაზღვრო სამსახური
--	---------------------------------------	---------------------------------------	---------------------------------------

[illegible]

Architectural drawing of a building facade, oriented vertically. The drawing shows a multi-story building with a grid of windows and doors. Dimensions are given in meters (m). Labels include 'საპროექტო სიმაღლე' (project height), 'საპროექტო სიგანე' (project width), and 'საპროექტო სიღრმე' (project depth). The drawing is oriented vertically on the page.

The image displays two pages of a technical drawing, likely a facade elevation or section of a building. The drawing is oriented vertically on the page.

Left Page (Page A):

- Label:** A ბეტონი (Concrete)
- Grid:** A large grid of points, each labeled with a number. The numbers are arranged in a regular pattern, suggesting a coordinate system for the facade.
- Dimensions:** A vertical dimension line on the left side indicates a height of 10.00 meters.
- Scale:** A scale bar at the bottom left indicates a length of 1:100.

Right Page (Page B):

- Label:** B ბეტონი (Concrete)
- Grid:** A large grid of points, each labeled with a number. The numbers are arranged in a regular pattern, suggesting a coordinate system for the facade.
- Dimensions:** A vertical dimension line on the left side indicates a height of 10.00 meters.
- Scale:** A scale bar at the bottom left indicates a length of 1:100.

[illegible][illegible]

ქალაქი თბილისი,
რიჩარდ ჰოლბრუკის ქაჩა №12;
ბელადის ქაჩა №12-ის
მიმდებარედ

შპს "ელტ დეველოპმენტი"
საიდენტიფიკაციო კოდი: 406338100
ქ. თბილისი, რ. ჭავჭავაძის ქ. №12

მრავალბინიანი სასოკოვრები
სახლი

01360020	25/05/2024	8935000	1500
91163001	A2	91260000	

	0326703407 036605076070
	90569 63333700 03303036670 0360235690
	93267050 83671733 2480 36320200
	03706250 83677033 2460 36332050
	0326703407 90569 87050 3 3

შპს "ნეოსენს"
საიდენტიფიკაციო კოდი: 445631139
ქ. ბათუმი, ზ. გორგოლაძის ქ. N-44
ტელ: 593 668 093

[illegible]

განაუნიანების
რეგულირების გზების
ცვლილების
პროექტი



უბიექტის მისაგართი
ქალაქი თბილისი,
ჩოჩხაძე ჟორჯიუძის ქაჯა №12;
ბაღდაძის ქაჯა №12-ის
მიმდებარედ

სპს "ელტ ღვაწლთაშანი"

საქმიანობის კოდი: 406338100
ქ. თბილისი, რ. ჯორჯაძის ქ. N-12

კროქის დასახლება
სახლი
მრავალბინიანი საცხოვრებელი

განმარტებულია


02/06/2024	25/05/2024	00.00000
03/06/2024	A2	07/06/2024

ՀՈԼԱՊԻՏԻ ՆԵՐՑՅԵՂՈՒ

შპს "ნეოსან"

საიდენტიფიკაციო ჯოდი: 445631139
 ქ. ბათუმი, ზ. გორგოლაძის ქ. №44
 ტელ. 503 668 003

0000 0000 0000

[illegible]

- [illegible]